2026 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შეფასების ზოგადი კრიტერიუმები

1. ქართული ენა და ლიტერატურა

- ტესტი შედგება არჩევითპასუხებიანი და ღია დავალებებისაგან;
- არჩევითი პასუხების მქონე დავალებაში დასმულია შეკითხვა და მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით;
- არჩევითპასუხებიანი დავალებებით შემოწმდება წაკითხული ტექსტის გააზრების უნარი;
- ღია დავალებების მაქსიმალური ქულა მითითებულია საგამოცდო ტესტში; ეს დავალებები ფასდება წინასწარ შედგენილი შეფასების სქემის მიხედვით.

ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტით შემოწმდება:

- ტექსტის რედაქტირების უნარი;
- საგამოცდო პროგრამით გათვალისწინებული და არასაპროგრამო მხატვრული ტექსტების გააზრებისა და ანალიზის უნარი;
- ინფორმაციის გააზრების, ანალიზის, განზოგადებისა და დასკვნის გამოტანის უნარი; დამოუკიდებელი, კრიტიკული აზროვნების უნარი;
- ენის გამომსახველობით საშუალებათა (როგორც ლექსიკურის, ისე გრამატიკულის) ადეკვატური გამოყენების უნარი; წერითი მეტყველების უნარი თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით.

2. ლიტერატურა

- ტესტი შედგება არჩევითპასუხებიანი და ღია დავალებებისაგან;
- არჩევითი პასუხების მქონე დავალებაში დასმულია შეკითხვა და მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით;
- ღია დავალებების მაქსიმალური ქულა მითითებულია საგამოცდო ტესტში. ეს დავალებები ფასდება წინასწარ შედგენილი შეფასების სქემის მიხედვით.

ლიტერატურის ტესტით შემოწმდება:

- საგამოცდო პროგრამით გათვალისწინებული ნაწარმოებების სიუჟეტების (მოვლენების, ფაქტებისა და მათი თანამიმდევრობის) ცოდნა; პერსონაჟების შესახებ ტექსტში მოცემული ინფორმაციის (პორტრეტი, თავგადასავალი, ავტორისეული დახასიათება და სხვ.) ცოდნა;
- სხვადასხვა მხატვრულ ნაწარმოებს შორის მსგავსებებისა და განსხვავებების მიგნებისა და შედარებითი ანალიზის უნარი;
- ინფორმაციის გააზრების, ანალიზის, განზოგადებისა და დასკვნის გამოტანის უნარი; დამოუკიდებელი, კრიტიკული აზროვნების უნარი;
- წერითი მეტყველების უნარი თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით.

3. უცხოური ენები

- ტესტი შედგება ექვსი არჩევითპასუხიანი და ერთი ღია დავალებისაგან.
- არჩევითი პასუხების მქონე დავალებაში მოცემულ ტექსტთან დაკავშირებით დასმულია შეკითხვა და მოცემულია ოთხი ან მეტი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. არის ასევე „მრავალჯერადი არჩევანის“ დავალებები. სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით.
- ღია დავალება (თხზულება) ფასდება სპეციალური შეფასების სქემით, რომელიც შედგება ორი კრიტერიუმისაგან. თითოეული კრიტერიუმის მაქსიმალური ქულა არის 8. დავალების მაქსიმალური ქულა არის 16.

  უცხოური ენების ტესტებით შემოწმდება:

- მოსმენის უნარი, კერძოდ, აბიტურიენტმა უნდა მოუსმინოს B1 სირთულის ერთ ტექსტს და გაიგოს მასში მოცემული როგორც ძირითადი აზრი, ისე ფაქტობრივი ინფორმაცია.
- კითხვის უნარი, კერძოდ, აბიტურიენტმა უნდა წაიკითხოს B1 სირთულის სხვადასხვა შინაარსის, ზომის და ფორმატის ინფორმაციული ან შემეცნებითი ხასიათის ტექსტები და გაიგოს მათში მოცემული როგორც ფაქტობრივი ინფორმაცია, ისე ძირითადი აზრი.
- აბიტურიენტმა, კონტექსტის გათვალისწინებით უნდა ჩასვას გამოტოვებულ ადგილებში საჭირო ლექსიკური ერთეულები; სწორი პასუხი აირჩიოს სიტყვების მოცემული ჩამონათვალიდან; კონტექსტის გათვალისწინებით გამოტოვებულ ადგილებში ჩასვას გრამატიკული მნიშვნელობის მატარებელი სიტყვები (არტიკლი, კავშირი და ა.შ.). სწორი პასუხი აირჩიოს სიტყვების მოცემული ჩამონათვალიდან; დიალოგში გამოტოვებული ადგილები შეავსოს წინადადებებით. სწორი პასუხი აირჩიოს წინადადებების მოცემული ჩამონათვალიდან;
- აბიტურიენტმა უნდა დაწეროს 120-170 სიტყვიანი თხზულება მოცემულ თემასთან დაკავშირებით. აზრი გადმოსცეს გასაგებად და თანმიმდევრულად. გამოიყენოს მოთხოვნის შესაბამისი ლექსიკა და გრამატიკა, დაიცვას მართლწერისა და პუნქტუაციის წესები.

4. ისტორია

- ტესტი შედგება არჩევითპასუხებიანი და ღია დავალებებისაგან.
- არჩევითი პასუხების მქონე დავალებაში დასმულია შეკითხვა და მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით;
- ღია დავალებების შესაძლო მაქსიმალური ქულა მითითებულია საგამოცდო ტესტში. ეს დავალებები ფასდება მთელი ქულებით შეფასების სქემის მიხედვით.

  ისტორიის ტესტით შემოწმდება:

- ფაქტობრივი მასალის ცოდნა და მისი გამოყენების უნარი; ისტორიული ცნებების, ტერმინების ადეკვატური გამოყენება; ისტორიული მოვლენებისა და პროცესების

დამახასიათებელი, არსებითი ნიშნების გამოვლენის, ისტორიული მოვლენებისა და პროცესების მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლენის უნარი;

- ისტორიული რუკების კითხვა და მოპოვებული ინფორმაციის ინტერპრეტაცია;
- ისტორიულ მოვლენათა/ისტორიულ წყაროთა შორის მსგავსებისა და განსხვავებების მიგნება და შედარებითი/კრიტიკული ანალიზი; ისტორიული მოვლენების ანალიზი, მათი შეფასება.
- საკუთარი დამოკიდებულების არგუმენტირების უნარი (აზრის ლოგიკურად, დამაჯერებლად და თანმიმდევრულად ჩამოყალიბების უნარი).

5. გეოგრაფია

- ტესტი შედგება არჩევითპასუხებიანი და ღია დავალებებისაგან.
- არჩევითი პასუხების მქონე დავალებაში დასმულია შეკითხვა და მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით.
- ღია დავალებების შესაძლო მაქსიმალური ქულა მითითებულია საგამოცდო ტესტში. ეს დავალებები ფასდება მთელი ქულებით, შეფასების სქემის მიხედვით. ღია დავალებაში მოითხოვება სხვადასხვა ტიპის წყაროს (ტექსტის, ტოპოგრაფიული და კონტურული რუკების, სურათის, ნახაზის, ცხრილის, გრაფიკის და სხვ.) ანალიზის საფუძველზე დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა.

  გეოგრაფიის ტესტით შემოწმდება:

- საპროგრამო მასალის ცოდნა და მისი გამოყენების უნარი;
- გეოგრაფიული ცნებებისა და ტერმინების ადეკვატური გამოყენება;
- გეოგრაფიული მოვლენებისა და პროცესებისთვის დამახასიათებელი, არსებითი ნიშნების გამოვლენა; გეოგრაფიულ მოვლენებსა და პროცესებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა;
- სხვადასხვა წყაროდან (ტექსტი, რუკა, ფოტო, გრაფიკი, ცხრილი, დიაგრამა) საჭირო ინფორმაციის გამოყოფა და ანალიზი; ერთი და იმავე ინფორმაციის სხვადასხვა ფორმით გამოხატვის უნარი (მაგ. ტექსტის გარდაქმნა ცხრილად ან დიაგრამად);
- საპროგრამო მასალის გააზრების, განზოგადებისა და ლოგიკური დასკვნის გამოტანის უნარი;
- დამოუკიდებელი, კრიტიკული აზროვნება გეოგრაფიული კონტექსტის გათვალისწინებით.

6. სამოქალაქო განათლება

- ტესტი შედგება არჩევითპასუხიანი, შესაბამისობის ტიპისა და ღია დავალებებისაგან.
- არჩევითი პასუხების მქონე დავალებაში დასმულია შეკითხვა და მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით;

- შესაბამისობის დავალების მაქსიმალური ქულაა 2. დავალება ფასდება წინასწარ შედგენილი შეფასების სქემის მიხედვით.
- ღია დავალებების მაქსიმალური ქულა მითითებულია საგამოცდო ტესტში. ეს დავალებები ფასდება წინასწარ შედგენილი შეფასების სქემის მიხედვით.

  სამოქალაქო განათლების ტესტით შემოწმდება:
- საპროგრამო მასალის ცოდნა;
- სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცნებების, ტერმინების, კონცეფციებისა და სტრუქტურების ცოდნა და ადეკვატურად გამოყენება;
- სხვადასხვა სახით (ტექსტი, რუკა, ილუსტრაცია, დიაგრამა) წარმოდგენილი ინფორმაციის გააზრების, განზოგადებისა და დასკვნის გამოტანის უნარი, წყაროს ანალიზი;
- სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენებისათვის დამახასიათებელი არსებითი ნიშნების ამოცნობა, მოვლენებს შორის მსგავსება-განსხვავებებისა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა, მოვლენათა შეფასება და კრიტიკული ანალიზი;
- სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენების ანალიზი და შეფასება სამართლებრივ ჭრილში; საზოგადოებრივი პრობლემების გააზრება, პრობლემის გადაჭრის გზების დასახვა, პრობლემის გადაწყვეტის პროცესში დემოკრატიული მოქალაქეობის კონცეფციის გამოყენება;
- სამოქალაქო პოზიციის ჩამოყალიბება, კრიტიკა, დაცვა, დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული არგუმენტირება; დამოუკიდებელი, კრიტიკული აზროვნების, აზრის ლოგიკურად ჩამოყალიბებისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი.

7. აფხაზური ენა

- ტესტი შედგება არჩევითპასუხებიანი და ღია დავალებებისაგან.
- არჩევითი პასუხების მქონე დავალებებში დასმულია შეკითხვები და მოცემულია სამი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. თითოეული სწორი პასუხი ფასდება 2 ქულით.
- ღია დავალებების მაქსიმალური ქულა არის 2. ეს დავალებები ფასდება წინასწარ შედგენილი შეფასების სქემის მიხედვით.

  აფხაზური ენის ტესტით შემოწმდება:
- ენის გამომსახველობით საშუალებათა (როგორც ლექსიკური, ისე გრამატიკული) ადეკვატური გამოყენების უნარი;
- ლიტერატურული ნაწარმოების (ან მისი ნაწილის) გაანალიზებისა და კომენტირების უნარი;
- ინფორმაციის გააზრების, ანალიზის, განზოგადებისა და დასკვნის გამოტანის უნარი.

8. ოსური ენა

- ტესტი შედგება არჩევითპასუხებიანი და ღია დავალებებისაგან.
- არჩევითი პასუხების მქონე დავალებებში დასმულია შეკითხვები და მოცემულია სამი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. თითოეული სწორი პასუხი ფასდება 2 ქულით.
- ღია დავალებების მაქსიმალური ქულა არის 2. ეს დავალებები ფასდება წინასწარ შედგენილი შეფასების სქემის მიხედვით.

ოსური ენის ტესტით შემოწმდება:

- ენის გამომსახველობით საშუალებათა (როგორც ლექსიკური, ისე გრამატიკული) ადეკვატური გამოყენების უნარი;
- ლიტერატურული ნაწარმოების (ან მისი ნაწილის) გაანალიზებისა და კომენტირების უნარი;
- ინფორმაციის გააზრების, ანალიზის, განზოგადებისა და დასკვნის გამოტანის უნარი.

9. მათემატიკა

- ტესტი შედგება არჩევითპასუხებიანი და ღია დავალებებისაგან.
- არჩევითი პასუხების მქონე დავალებაში დასმულია შეკითხვა და მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით;
- ღია დავალებების მაქსიმალური ქულა მითითებულია საგამოცდო ტესტში. ეს დავალებები ფასდება მთელი ქულებით შეფასების სქემის მიხედვით. თითოეული დავალების ამოხსნა დაყოფილია ეტაპებად, რომელთა გადალახვა აუცილებელია დავალების შესასრულებლად. თითოეული ეტაპის გადალახვა გამოსაცდელისაგან მოითხოვს შესაბამისი მათემატიკური უნარის ფლობას ან გარკვეული ფაქტის, ან დებულების ცოდნას. თითოეული დავალების შეფასების სქემაში მითითებულია, თუ რომელი ეტაპის ან ეტაპების კომბინაციის გადალახვისას შეფასდება დავალების ამოხსნა ამა თუ იმ ქულით.
- ეტაპი გადალახულად ითვლება, თუ შესრულებულია ამ ეტაპის შესაბამისი ინდიკატორი. ეს ინდიკატორები მოცემულია შეფასების სქემაში. ინდიკატორში მითითებული სიდიდე შეიძლება წარმოდგენილი იყოს გაუმარტივებელი ფორმით. იმ შემთხვევაში, თუ ამოხსნაში მითითებულია ინდიკატორში აღწერილი სიდიდე, მაგრამ არ არის მოყვანილი მისი მიღების გზა, ეტაპი შესრულებულად არ ჩაითვლება. მოითხოვება ამოცანის ამოხსნის ლოგიკურად მწყობრი, გააზრებული გზის წარმოჩენა.

10. ბიოლოგია

- ტესტი შედგება არჩევითპასუხებიანი და ღია დავალებებისაგან.
- არჩევითი პასუხების მქონე დავალებაში დასმულია შეკითხვა და მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით.

- ღია დავალებების მაქსიმალური ქულა მითითებულია საგამოცდო ტესტში. ეს დავალებები ფასდება მთელი ქულებით შეფასების სქემის მიხედვით. ღია დავალებებში მოითხოვება: ფაქტობრივი მასალის, ცნებებისა და კანონების ცოდნა; მოვლენის არსის განსაზღვრა და მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების წარმოჩენა; ობიექტისა და მოვლენის აღწერა და დაჯგუფება-დახარისხება; მოვლენათა დამახასიათებელ ნიშნებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა და ჰიპოთეზის წამოყენება, ასევე გამოთვლითი ამოცანების ამოხსნა; ვიზუალური ინფორმაციის გაანალიზება და ზოგადი კანონზომიერების დადგენა;
- ღია დავალებებში ვლინდება საკითხის თეორიული ცოდნის გამოყენების უნარი კონკრეტული დავალების შესრულებისას. გამოთვლითი ამოცანების ამოხსნა დაყოფილია ეტაპებად, რომელთა გადალახვა აუცილებელია დავალების შესასრულებლად.

11. ქიმია

- ტესტი შედგება არჩევითპასუხებიანი და ღია დავალებებისაგან.
- არჩევითი პასუხების მქონე დავალებაში დასმულია შეკითხვა და მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით.
- ღია დავალებების მაქსიმალური ქულა მითითებულია საგამოცდო ტესტში. ეს დავალებები ფასდება მთელი ქულებით შეფასების სქემის მიხედვით. ღია დავალებებში მოითხოვება ქიმიური ფორმულების, ნივთიერებების სახელწოდებების და ქიმიური რეაქციების ტოლობების შედგენა, ასევე გამოთვლითი ამოცანების ამოხსნა.
- ღია დავალებებში ვლინდება საკითხის თეორიული ცოდნის გამოყენების უნარი კონკრეტული დავალების შესრულებისას. გამოთვლითი ამოცანების ამოხსნა დაყოფილია ეტაპებად, რომელთა გადალახვა აუცილებელია დავალების შესასრულებლად. თითოეული ეტაპის გადალახვა გამოსაცდელისაგან მოითხოვს განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ფლობას. თითოეული ასეთი დავალების შეფასების სქემაში მითითებულია, თუ რომელი ეტაპის ან ეტაპების კომბინაციის გადალახვისას შეფასდება დავალების ამოხსნა ამა თუ იმ ქულით. დავალების შესრულებისას მოითხოვება ამოცანის ამოხსნის ლოგიკურად მწყობრი, გააზრებული გზის წარმოჩენა.

12. ფიზიკა

- ტესტი შედგება არჩევითპასუხებიანი დავალებებისაგან, შესაბამისობის დავალებებისაგან და ღია დავალებებისაგან.
- არჩევითი პასუხების მქონე დავალებაში დასმულია შეკითხვა და მოცემულია ხუთი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით;
- შესაბამისობის პოვნა: უნდა დადგინდეს შესაბამისობა ჩამონათვალში მოცემულ ორ სიდიდეს ან ობიექტს შორის. ცხრილი ივსება შემდეგნაირად: ციფრებით დანომრილი

თითოეული სიდიდისა ან ობიექტისათვის მოიძებნება მისი შესაბამისი ანბანით დანომრილი სიდიდე ან ობიექტი. შედეგი მოინიშნება X-ით ცხრილის სათანადო უჯრაში. გასათვალისწინებელია, რომ ერთი ჩამონათვალის რომელიმე სიდიდეს ან ობიექტს შეიძლება შეესაბამებოდეს ერთი, ერთზე მეტი ან არც ერთი - მეორე ჩამონათვალიდან. დავალება ფასდება ცხრილის სწორად შევსებული სტრიქონების ან სწორად შევსებული სვეტების რაოდენობის მიხედვით.

- ღია დავალებებში ვლინდება საკითხის თეორიული ცოდნის გამოყენების უნარი კონკრეტული მრავალსაფეხურიანი დავალების შესრულებისას. თითოეული დავალების ამოხსნა დაყოფილია ეტაპებად, რომელთა გადალახვა აუცილებელია დავალების შესასრულებლად. თითოეული ეტაპის გადალახვა გამოსაცდელისაგან მოითხოვს განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ფლობას. თითოეული დავალების შეფასების სქემაში მითითებულია, თუ რომელი ეტაპის ან ეტაპების კომბინაციის გადალახვისას შეფასდება დავალების ამოხსნა ამა თუ იმ ქულით. დავალების შესრულებისას მოითხოვება ამოცანის ამოხსნის ლოგიკურად მწყობრი, გააზრებული გზის წარმოჩენა.

13. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

- ტესტი შედგება არჩევითპასუხებიანი, წინადადების სწორი ტერმინით შევსების, ჭეშმარიტია-მცდარიას, შესაბამისობის და ღია ტიპის დავალებებისაგან. უმეტეს შემთხვევაში თითოეული დავალება ეფუძნება ვიზუალურ მასალას.
- არჩევითპასუხიან დავალებაში დასმულია შეკითხვა და მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. ამ ტიპის დავალებებით აპლიკანტი ავლენს ფაქტობრივი მასალის ცოდნას, ცოდნის გამოყენების, დაკვირვების და ანალიზის უნარებს. სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით.
- წინადადების შევსება გულისხმობს, დავალებაში მოცემულ წინადადებაში ერთი ან რამდენიმე გამოტოვებული სიტყვის ჩასმას, ისე, რომ ჭეშმარიტი მტკიცებულება მივიღოთ. ამ ტიპის დავლებით აპლიკანტი ავლენს ფაქტობრივი მასალის ცოდნის გამოყენების და გააზრების უნარს. დავალება ფასდება 1 ქულით.
- ჭეშმარიტია-მცდარიას ტიპის დავალება გულისხმობს დადგინდეს, ჭეშმარიტია თუ მცდარი მოცემული მტკიცებულება და საგანგებოდ გამოყოფილ არეში გაკეთდეს შესაბამისი აღნიშვნა. თუ აპლიკანტი მიიჩნევს, რომ მოცემული მტკიცებულება ჭეშმარიტია, დავალებაზე მუშაობა დასრულდება. თუ მტკიცებულება მის მიერ მცდარად შეფასდება, აპლიკანტმა, საკუთარი მოსაზრებით, ჭეშმარიტი ვერსია უნდა ჩაწეროს. ამ ტიპის დავალებით აპლიკანტი ავლენს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ცნებებისა და ტერმინების ცოდნას და ადეკვატურ გამოყენებას, დაკვირვების და ანალიზის უნარებს. დავალება ფასდება 1 ქულით.
- შესაბამისობის დავალება ფასდება 6 ქულით და გულისხმობს, ხელოვნების ნაწარმოების (არქიტექტურა, ქანდაკება, მხატვრობა) შესაქმნელად გამოყენებული სახვითი საშუალებებისა და ხერხების ამოცნობას. ჩამონათვალში მოცემულია 8 სახვითი

საშუალება და/ან ხერხი, ხელოვნების ნაწარმოებზე კი მითითებულია მხოლოდ 6 მათგანი. აპლიკანტმა ჩამონათვალსა და მითითებებს შორის შესაბამისობა უნდა დაადგინოს და მოცემულ ცხრილში ანბანისა (ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, თ) და რიცხვების (1, 2, 3, 4, 5, 6) გადაკვეთის ადგილი მონიშნოს X ნიშნით. ამ ტიპის დავალებით დგინდება გამოსაცდელის მიერ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საშუალებებისა და ხერხების ცოდნა და მათი ამოცნობის უნარი. ჩამონათვალის ერთ მოცემულობას მხოლოდ ერთი მონიშნული სახვითი საშუალება ან/და ხერხი შეესაბამება.

- ღია დავალებები სხვადასხვა სახისაა. სამი ღია დავალება ტესტში ფასდება 4 ქულით, ხოლო 1 ღია დავალება - ხელოვნების ნიმუშების შედარებითი ანალიზი, 15 ქულით. ეს დავალებები კომპლექსურია და ამოწმებს: საგამოცდო პროგრამით გათვალისწინებული მასალის ცოდნის გამოყენების, საკითხის გააზრების, ანალიზის, განზოგადებისა და დასკვნის გამოტანის, შედარებითი ანალიზისა და დამოუკიდებელი აზროვნების, არგუმენტირების და შემოქმედებით უნარებს. შეფასების სქემებში, დავალების პირობის შესაბამისად, მკაფიოდ არის გაწერილი განსაზღვრულ ქულათა განაწილება.

14. ზოგადი უნარები

- ტესტი შედგება მხოლოდ არჩევითპასუხებიანი დავალებებისგან;
- არჩევითი პასუხების მქონე დავალებაში დასმულია შეკითხვა და მოცემულია ოთხი ან ხუთი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. სწორი პასუხი ფასდება ერთი ქულით.